499.962-1
Ბ-971

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ᲪᲮᲐᲓᲐᲘᲐ ᲗᲐᲘᲐ ᲞᲐᲐᲢᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ

ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ-ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ

10. 02. 08 – ქართველური ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ

თბილისი
2003

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ სარჯველაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10. 02. 08)

კონსულტანტი: ზურაბ ჭუმბურიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10. 02. 08)

ოფიციალური ოპონენტები: იზაბელა ქობალავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10. 02. 02)

ამირან ლომთაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10. 02. 08)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **P**. 10. 01. № 7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2003 წლის 11 ივნისს, 14.30 საათზე.

მისამართი: 380028. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., № 1, კორპ. I, აუდ. 93.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა, №2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის 7 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. /ზ. ზიბახაშვილი/

-1893-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ძველი გრამატიკოსებიდან დღემდე მრავალი მკვლევარი შეჰხებია ქართული სიტყვაწარმოების ამა თუ იმ საკითხს, მაგრამ სხვა ქართველური ენების, მათ შორის მეგრულის აფიქსური სიტყვაწარმოება, წარმოქმნილ სახელთა სემანტიკური ჯგუფები და მათი მაწარმოებელი აფიქსები საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა.

მეგრულ აფიქსურ სიტყვაწარმოებას განვიხილავთ ძველ ქართულთან მიმართებით, რადგან საერთოქართველურ ფუძეენასთან მეტი სიახლოვე შენარჩუნებული აქვს მასთან ქრონოლოგიურად უფრო ახლოს მდგომ ძველ ქართულს. ამდენად, ნაშრომის თემა აქტუალურია როგორც მეგრულში დადასტურებულ წარმოქმნილ სახელთა და წარმოქმნის საშუალებათა, ისე ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გარკვეული წვლილი შევიტანოთ საერთოქართველური ფუძეენის რეკონსტრუქციისა და ქართველურ ენათა განვითარების შინაგანი ტენდენციების გამოვლენის საქმეში, აგრეთვე, დავადგინოთ ძირეული და წარმოქმნილი სახელებისა თუ მორფემების ქართულიდან შეთვისების მიახლოებითი ქრონოლოგიური ზღვარი.

კვლევის მიზანი და ობიექტი. წინამდებარე გამოკვლევის მიზანია სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოების (სახელური დერივაციების) შესწავლა მეგრულსა და ძველ ქართულში ამ ენათა განვითარების შინაგანი ტენდენციების გამოვლენის მიზნით. კვლევისათვის შევარჩიეთ წარმოქმნილ სახელთა ორი სემანტიკური ჯგუფი: აბსტრაქტულ ცნებათა და მსგავსება-ნაირობის გამომხატველი არსებითი სახელები, ამასთანავე, შევეხეთ ზედსართავი სახელის თანაბრობითი და ოდნაობითი ხარისხის, კნინობით, ხელობისა და წარმომავლობის სახელთა წარმოებას. საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ მეგრულ ენაზე გამოცემული ყველა ტექსტი თუ ლექსიკონი, აგრეთვე ჩვენ მიერ მოპოვებული მეგრული მასალა, ძველი ქართული ენის ლექსიკონები და ი. გიპერტის მიერ დამუშავებული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსი (ელექტრონული ვერსია).

მეცნიერული სიახლეები და ძირითადი შედეგები. ნაშრომში პირველადაა მონოგრაფიულად შესწავლილი აბსტრაქტული და მსგავსება-ნაირობის გამომხატველი სახელები მეგრულსა და ძველ ქართულში. მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით დაწვრილებით